ვაკანსია რეგიონული მენეჯერის პოზიციაზე

„კინგსი საქართველო“ აცხადებს ვაკანსიას რეგიონული მენეჯერის ვაკანტურ პოზიციაზე.

„კინგსი საქართველო“ განათლების სფეროში 2012 წლიდან საქმიანობს და, მუდმივად განახლებადი საგანმანათლებლო ტექნოლოგიების დანერგვით, ხელს უწყობს სკოლის სოციუმის განვითარებასა და მოდერნიზაციას ევროპული სტანდარტების შესაბამისად.

„კინგსის“ სასკოლო ოლიმპიადებში მთელი საქართველოს მასშტაბით 100 000-ზე მეტი მოსწავლეა ჩართული.

სამუშაოს აღწერა:

- სკოლებთან, რესურსცენტრებთან და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ურთიერთობის მართვა;
- საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კომუნიკაციის სამუშაო გეგმის შედგენა და განხორციელება;
- სკოლებთან და რესურსცენტრებთან ინდივიდუალური ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება;
- საგანმანათლებლო პროექტების შესახებ პრეზენტაციების მომზადება და სკოლებსა და რესურსცენტრებში ჩატარება;
- საქმიანობის პერიოდული ანალიზი და ანგარიშის შედგენა.

სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება ჰუმანიტარული ან ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით (შესაძლებელია დამამთავრებელი კურსის სტუდენტი);
- სასურველია სერვისის სფეროში მუშაობის გამოცდილება;
- ქართული ენის გამართულად ცოდნა (სასურველია, რუსული და ინგლისური ენის ცოდნა).

პიროვნული თვისებები:

- პრეზენტაბელურობა;
- გამართული მეტყველება;
- მოლაპარაკებების ეფექტურად წარმართვის უნარი;
- პრიორიტეტების განსაზღვრა;
- შედეგებზე ორიენტირებულობა;
- გუნდური მუშაობა;
- პუნქტუალურობა.

დაინტერესების შემთხვევაში, გთხოვთ, 2017 წლის 28 თებერვლამდე გამოგზავნოთ რეზიუმე ელექტრონულ ფოსტაზე: hr@king.ge.

წერილის თემაში (subject) მიუთითეთ პოზიციის დასახელება - რეგიონული მენეჯერი.